დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამა.
2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2023 წელი – 31 დეკემბერი 2023 წელი.
3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 5000 (ხუთი ათასი) ლარი.
4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.
5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2 .პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაცია დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წელიწადში არა უმეტეს 350 (სამასორმოცდაათი) ლარისა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

შშმ პირის მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი, ასევე დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შ შ მ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

2.თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტრის მერიის საფინანსო სამსახური.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი